ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №388

ქ. ბათუმი, 29 მაისი 2015 წ

უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს - საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 01 აგვისტოს №02/1586 ბრძანების საფუძველზე გაფორმებული 2013 წლის 05 სექტემბრის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით შპს „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო“-ს სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე 15734,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებულ 1344,70 კვ.მ. ალფაბეტურ კოშკთან ერთად (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 05.21.20.017). ხელშეკრულების 2.6. პუნქტის თანახმად, მესაკუთრეს - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს უზუფრუქტის ხელშეკრულება, რაც დასტურდება ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

2015 წლის 17 და 22 აპრილს უზუფრუქტით დატვირთული 15734,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.21.20.017) გაიმიჯნა სამ საკადასტრო ერთეულად: 1) 3304,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.21.02.034); 2) 5726,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1344,7 კვ.მ. საერთო ფართის ალფაბეტური კოშკი (ს/კ 05.21.20.048) და 3) 6703,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.21.20.047).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, სამოქალაქო კოდექსისა და შპს „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო“-სთან 2013 წლის 05 სექტემბერს დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების 2.6. პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეწყდეს 2013 წლის 05 სექტემბრის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება შპს „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო“-სათვის ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე 15734,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 1344,70 კვ.მ. ალფაბეტური კოშკის (ს/კ 05.21.20.017) სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. ეთხოვოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს გააუქმოს პირველ პუნქტში მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე, №05.21.02.034, 05.21.20.048 და 05.21.20.047 უძრავ ნივთებზე შპს „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო“-ს უზუფრუქტის უფლების თაობაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები.

3. წინამდებარე ბრძანების მეორე პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ნივთებზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უზუფრუქტის უფლების შეწყვეტის

მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი N61001010495).

4. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს შპს „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო“-ს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი